საექსპერტო შეფასება

შპს „სიონი ლეიქ რესორთ & სპა“ სიონი, სოფ. მელიასხევი, (ს/კ 73.07.22.376) ასაშენებელი სასტუმროს ტიპის საცხოვრებლების კომპლექსის კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება

დამკვეთის, შპს „სიონი ლეიქ რესორთ სპა“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ჩვენს მიერ, ექსპერტი - ინჟინერ-მშენებელი - ნიკოლოზ ჭკუასელი, 2022 წლის ივლისში შემოწმებული და შესწავლილი იქნა, საექსპერტიზოდ წარმოდგენილი სიონის დასახლება, სოფ. მელიასხევი ასაშენებელი სასტუმრო კომპლექსის შენობის და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების სისტემის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები და „განმარტებითი ბარათი“ - შენობის მდგრადობისა და სიმტკიცის დადგენისა და „საექსპერტო შეფასების“ გაცემის მიზნით.

დამკვეთი: შპს „სიონი ლეიქ რესორთ & სპა“, დირექტორი - დიმიტრი ადამია;
არქიტექტორი: ლევან მაღლაკელიძე;
კონსტრუქტორი: ალექსანდრე წაქაძე;
ექსპერტი-კონსტრუქტორი: ნიკოლოზ ჭკუასელი;

ასაშენებელი სასტუმრო კომპლექსის „სასტუმრო ბლოკის“ შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, 6 სართულიანი (მიწის ზევით) და მიწის ქვევით ორი სართული. დაპროექტებული შენობის მზიდ კარკასს წარმოადგენს რკინაბეტონის კონსტრუქციები. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები ღერძებში არის (46,7x16,4) მ.

შენობის მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ, დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და ასევე ქარის ზემოქმედებაზე, ჩატარებული არის საანგარიშო კომპლექსი „Лира Сапр 2019” - ის საშუალებით (ლიცენზიის ნომერი N1/7165).

საანგარიშო სეისმურობა - 9 ბალი (MSK-64 სკალის მიხედვით A_0 = 0.24 მ).

თოვლის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა - 0,5 კპა.

ქარის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა - 0,35 კპა.

პროექტი დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების „სეისმომედეგი მშენებლობა“. (ᲡᲜ. 01-01-09), „ბეტონისა და რკინაბეტონის“ კონსტრუქციები – (03.01-09); შენობებისა და ნაგებობების ფუძეები (ᲡᲜ 02.01-08); სამშენებლო კლიმატოლოგია (ᲡᲜ 01.05-08); СниП 01.05-08); СниП 2.01.07. 85 нагрузки и Воздействия, მოთხოვნების გათვალისწინებით და შეესაბამისად.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევიდან და შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე შენობის საძირკვლად მიღებულია საძირკვლის მონოლითური ფილა.

შენობის დაფუძნება უნდა განხორციელდეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შემდეგი მიმდევრობით.

ქვაბულის დამუშავების შემდგომ კარგად დატკეპნილ გრუნტზე ფენა-ფენად განხორციელდეს ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის (მდინარის ბალასტის) ჩატკეპნა. ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის (მდინარის ბალასტის) ბალიშის 20 სმ-იანი ფენების შემკვრივება შესრულდეს მძიმე ვიბრო სატკეპნი მანქანების გამოყენებით მინიმუმ 12-ჯერ გავლით. კვალები, ერთმანეთს უნდა ფარავდეს არანაკლები 10 სმ-ით. დატკეპნის შემდგომ ქვიშა-ხრეშის ბალიშის დეფორმაციის მოდული უნდა იყოს არანაკლებ $E = 400$ კგძ/სმ², ხოლო საანგარიშო წინაღობა $R_0 = 3.5$ გძ/სმ². ტკეპნის კოეფიციენტი - 0,95.

დატკეპნილი ქვიშა-ხრეშის ბალიში მიღებული უნდა იქნეს ინჟინერ-გეოლოგის მიერ შეესაბამისი აქტის შედგენით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებთან განსხვავების შემთხვევაში ახალი რეზულტატები უნდა ეცნობოს კონსტრუქტორს პროექტში სათანადო ცვლილებების შესატანად.

საძირკვლებისათვის გამოყენებული იქნას პორტლანდცემენტზე დამზადებული W_6 წყალშეუღწევადი მარკის ბეტონის სიმტკიცის მიხედვით ბეტონის კლასი B30.

კონსტრუქციებზე, რომლებსაც შეხება აქვთ გრუნტთან, თანამედროვე საიზოლაციო მასალებით მოეწყოს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჰიდროიზოლაცია.

შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, პილონები, მონოლითური კედლები, კოჭები და ფილები.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია ბეტონი B30 (იხ. „განმარტებითი ბარათი").

ზოგადი მითითებები

1. ქვაბული მიღებულ იქნას გეოლოგის მიერ, შესაბამისი აქტის შედგენით.
2. მშენებლობის ორგანიზაციამ უზრუნველყოს მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების ჩაწყობა უწყვეტად.
3. დაბეტონებისას კონტროლი უნდა გაეწიოს ბეტონის ჩალაგების ტექნოლოგიას. ბეტონის კლასს, ვიბრირებას და შრობის პროცესებს თანახმად Гост 10180-78, Гост 18105,0-80, Гост 18105,1-80, Гост 18105,2-80.
4. რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია A-240C და A500C არმატურები Гост 5781-82***, შემოწმებული იქნას არმატურის ხარისხი - შესაბამისი აქტის შედგენით.
5. ბეტონის ჩაწყობა მოხდეს ვიბრატორების მეშვეობით. ცემენტის ხარისხის ყურის მიგდებით.
6. მშენებლობისას წარმოქმნილი ყველა სახის ცვლილება შეთანხმდეს პროექტის ავტორებთან. დატვირთვების გაზრდის შემთხვევაში ნაშენის მზიდი კარკასის გადაანგარიშება აუცილებელია. ნახაზებზე მითითებული შენიშვნები და რჩევები, ასევე ჩვენიც, ავტორების მიერ გათვალისწინებული იქნა დოკუმენტაციაში შეტანით.

PhotoScan by Google Photos

გამოკვლევებით მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მაყოფილდება მდგრადობის, სიმტკიცის და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები.

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდეს საინჟინრო-ტექნიკური ხასიათის დასკვნა.

დასკვნა

სიონში, სოფ. მელიასხევში ასაშენებელი სასტუმროს კომპლექსის ბლოკის პროექტის (ს/კ 73.07.22.376) და შენობის თავისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კომპიუტერული მოდელის გაანგარიშება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ კმაყოფილდება არსებული ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები. პროექტის დადებითი შეფასება შესაძლებელს ხდის მიეცეს რეკომენდაცია დასამტკიცებლად და გაიცეს მშენებლობის ნებართვა.

ექსპერტი-ინჟინერ-მშენებელი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ.ჯაკუასელი